

# უცხოური ქართველოლოგია KARTVELIAN STUDIES ABROAD

ბერნარ უტიე

## ხელნაწერი თბილისი A-249: არაბულიდან თარგმნილი კრებული და მისი პირველადი სახე\*

### რეზიუმე

ხელნაწერი თბილისი A-249 X საუკუნეში პალესტინის გარემოში გადაწერილი საუცხოო კოლექციის დღეს არათანმიმდევრულად აკინძული ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი. ჩვენამდე მოღწეული ტექსტები სირიულიდან არაბულის გავლითაა ნათარგმნი (რაც, უკანასკნელი მათგანისთვის ჯერ კიდევ დასადგენია).

ხელნაწერის თბილისი A-249 ერთადერთ გამოქვეყნებულ აღწერილობად დღემდე რჩება 1903 წელს დასტამბული თ. ჟორდანიას ნაშრომი.<sup>1</sup> ეს თავის დროზე გამოსადეგი აღწერილობა დღეს უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ახალი აღწერილობის შედგენამდე<sup>2</sup> საჭიროა ამ ლაკუნის შევსება. პ. პეტერსის აზრით, ხელნაწერი თბილისი A-249 მართლაც წარმოადგენს „იშვიათი და უნიკალური თხზულებების შემცველ, საინტერესო და ძალიან ძველ კრებულს.“<sup>3</sup> ქალბატონმა ელ. მეტრეველმა მოგვაწოდა ხელნაწერის სრული მიკროფილმი – რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ მას

\* Le manuscrit Tbilisi A-249: un recueil traduit de l'arabe et sa physionomie primitive, Bedi Kartlisa, XXXV, 1977, p. 97–108.

1 T. Jordania, Catalogue des manuscrits du Musée ecclésiastique de Tiflis, Tiflis, 1903, p. 261–263 (en russe).

2 პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს ხელნაწერის 1–100 აღწერილობას, უკვე გამოქვეყნდა, იხ. B. K. XXXIII, 1975, p. 378–379.

3 P. Peeters, Traductions et traducteurs dans l'hagiographie orientale à l'époque byzantine, in anal. Boll. XL, 1922, p. 290; ასევე in Le tréfonds oriental de l'hagiographie byzantine (1950).

– რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ, ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს გაცილებით მნიშვნელოვანი კრებულის ფრაგმენტს, და მეორე მხრივ, ახლა იგი არათანმიმდევრულადაა აკინძული.<sup>4</sup>

მამა მ. ვან ესბროკმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში უძველესი ქართული ჰომილეტიკური კრებულის შესახებ<sup>5</sup> დაგვანახა, რამხელა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას ძველი კრებულების პირველადი სახის აღსადგენად. უურნალის წინამდებარე ნომერში მან გამოაქვეყნა ხელნაწერის (დღევანდელი რიგით) პირველი ორი თხზულების თარგმანი. ე. ი. ჩვენი გამოკვლევა მისი ნაშრომის ბუნებრივ დამატებად შეიძლება ჩაითვალოს. ჯერ განვიხილოთ, რას წარმოადგენს ხელნაწერი დღეს და როგორი უნდა ყოფილიყო იგი თავდაპირველად; შემდეგ კი გავანალიზებთ მის შინაარსს.

\* \*  
\*

ფურცლების დღევანდელი დანომვრა ყველაზე ზუსტია: იგი ითვლის 111 ფურცელს და ამრიგად, ასწორებს ძველ, ამ ხელნაწერის დამოწმებებში გამოყენებულ პაგინაციას, რომელიც 120-ს მიუთითებდა. ამ განსხვავებას ორი მიზეზი აქვს: ფურცლების დანომვრელმა 2-ჯერ დათვალა მე-12 ფურცელი – თანამედროვე პაგინაცია სხვათა შორის, იწყება fol. 13-ით – და გადაახტა ათიოდე გვერდს 30-დან 41-მდე. Fol. 32-დან მოყოლებული ბოლომდე, ძველი პაგინაცია კიდევ 9 ერთეულს შეიცავდა.

სრულ გვერდზე სტრიქონების რაოდენობა, ჩვეულებრივ, არის 20, ზოგჯერ – 21.

დაწერილია ნუსხურით, რომელიც შეიძლება X ს-ით დავათარილოთ: იგი მართლაც, ძალიან წააგავს ხელნაწერ Sin. გეო–1-ის და Sin. გეო–26-ის (956) მეორე ნაწილის გადამწერის, იოვანეს<sup>6</sup>, ხელს.

4 რადგან ვერ შეამჩნია, პ. პეტერსიცი უორდანიას დარად ფიქრობდა, რომ საქმე ჰქონდა ორიგინალურ თხზულებასთან ეფრემის შესახებ. ვ. იმნაიშვილი B. M. Add.11281-ის მიხედვით გამოქვეყნებული „ეფრემის ცხოვრების“ კომენტარში მიუთითებს რა ამ ტექსტების ნათესაობას, წერს: „თხზულებათა თანმიმდევრობა ამ ხელნაწერებში ყოველთვის არ ემთხვევა“ (მამათა ცხოვრება, თბილისი, 1975).

5 M. van Esbroeck, *Les plus Anciens homéliaires géorgiens. Etude descriptive et historique*, Louvain-la-neuve 1975; ბედი ქართლისას წინამდებარე ტომში იხ. ამ ნაშრომისადმი მიძღვნილი ელ. მეტრეველის სტატია.

6 მისი ხელწერის ნიმუში იხ. ცაცა ჭანკიევის სტატიისთვის „პალესტინელ გადამწერ „იოვანეთა“ შესახებ“ დართულ ტაბულაში, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი III, თბილისი, 1973, გვ. 45–51. სავარაუდოდ, უყურადღებობის გამო ვ. იმნაიშვილი ამ ხელნაწერის გადამწერად მიიჩნევს ათონელ გადამწერს. პეტერსის თანახმად, უორდანია ხელნაწერს IX ს-ზე ადრეულად მიიჩნევდა, მარი კი XI ს-ით ათარილებდა; რ. გვარამია მას IX ს-ით ათარილებს.

მთავრულით შემონახული ერთადერთი მინაწერი fol.69-ზე: „მილ-ხინე, ღმერთო ცოდვილსა <დავითს>(?)“ გადამწერის ხელით არ არის გაკეთებული და ბევრს არაფერს გვაძლევს ხელნაწერის ისტორიის შესასწავლად.

ფურცლების ჩამოჭრის გამო დაკარგულია პირველადი პაგინაცია, თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა; სამაგიეროდ, შემორჩენილია რვეულების ორმაგი ნუმერაცია. უახლესი მათგანი XIX ს-ით უნდა თარიღდებოდეს, როცა ფურცლები (არასწორად) დაალაგეს: იგი, მართლაც, შეესაბამება ფურცლების დღევანდელ რიგს და ძველ დათვლას არ იყენებს (ნაცვლად იბ=12, გადადის ლ=30-ზე; ამ სისტემაში „იბ“ მიუთითებს n. 10 რვეულის მეორე ფურცელს). საბედნიეროდ, შესაძლებელია ხელნაწერის თავდაპირველი რვეულების აღდგენა, რადგან გადამწერის ხელით დანომვრა, თუმცა იგი რიგ შემთხვევაში ფურცლის დაზიანების გამო დაკარგულია, ნაწილობრივ მაინც არის შემორჩენილი.

ხელნაწერის შემონახული ნაწილის პირველადი სახე შეიძლება, შემდეგი ცხრილის სახით წარმოვადგინოთ:

რვეულების n	ფურცლები უახლესი ნუმერაციის მიხედვით							
(24)	.	78	79	80	81	82	83	.
(25)	.	74	75	.	.	76	77	.
26	84	85	86	87	88	89	90	91
27	92	93	94	95	96	97	98	99
28	100	101	102	103	104	105	106	107
29	108	109	110	111	37	38	39	40
30	41	42	43	44	45	46	47	48
31	49	50	51	52	53	54	55	56
32	57	58	59	60	61	62		
33	63	64	65	66	67	68	69	70
34	71	72	73	1	2	3	4	5
35	6	7	8	9	10	11	12	13
36	14	15	16	17	18	19	20	21
37	22	23	24	25	26	27	28	29
38	30	31	32	33	34	35	36	.

შემორჩენილი 15 რვეული თავდაპირველი ხელნაწერის მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც ჩვენს ფრაგმენტამდე შეიცავდა 23 რვეულს,

ანუ 184 ფურცელს (პლუს 24-ე რვეულის პირველი ფურცელი) და, სულ ცოტა, 6 რვეულს მის შემდეგ და სრულდებოდა ანასტასის ტექსტით: ე. ი. ჩვენამდე ხელნაწერის მაქსიმუმ მესამედს მოუღწევია.

დათვლა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პირველი შემონახული თხზულება, „ეფრემ ასურის ცხოვრება“ იწყებოდა 23-ე რვეულის თავში; სხვათა შორის, გადამწერი ხშირად ახალ თხზულებას ახალი ფურცილიდან იწყებდა: ff 37, 1.

ხელნაწერის გარეგნული აღწერილობის შემდეგ – რამდენადაც ამის გაკეთება შესაძლებელია მიკროფილმიდან – გადავიდეთ შინაარსის განხილვაზე.

\* \*  
\*

(ff. 74–111) [რვ. 23–29] „ეფრემ ასურის ცხოვრება“ აკლია 14 ფურცელი.

სხვა ქართული დამოწმება: B. M. Add 11281, ff 246–274. ეს ხელნაწერი გამოიცა ორჯერ: G. Garitte, *Vies géorgiennes de S. Syméon Stylite l'ancien et de S. Ephrem, C.S.C.O.* 171–172 ( ლათინური თარგმანი), Louvain, 1957 (ლიტერი G); ვ. იმნაიშვილი, მამათა ცხოვრებანი, თბილისი, 1975 (ლიტერი I), რომელიც წარმოადგენს ხელნაწერის B.M. Add. 11281 სრულ გამოცემას.

ხელნაწერი A-249 1957 წელს ხელმისაწვდომი არ იყო პროფ. გარიტისთვის; ვ. იმნაიშვილს არ უცდია ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რაც შეესაბამება G-ს გვ. 84, 16–88, 29; 90, 17–91, 32; 93, 15–94, 27 და 95, 21–116, 14 და I-ს გვ. 214, 42–217, 18; 218, 13–219, 6; 219, 41–220, 32 და 221, 10–232, 37.

ბ-ნი გარიტის აზრით, მოდელი უნდა ყოფილიყო სირიული (ვ. იმნაიშვილი მიუთითებს მის პოზიციას საკუთარი აზრის გამოუთქმელად). რამდენადაც ვიცით, სირიული „ცხოვრება“ BHO 269 მხოლოდ ორ ძველ ენაზე, არაბულსა და სომხურზე იყო ნათარგმნი. სომხური თარგმანი, რომელიც 1101 წ. გრიგოლ მარტიროფილის ბრძანებით განხორციელდა, ვერ იქნებოდა ქართული ვერსიის მოდელი, რომლის ორივე ცნობილი დამოწმება XII ს-ზე ადრეულია. ასე არაა არაბული თარგმანის შემთხვევაში, რომლის ერთი ხელნაწერი მაინც, Sin. arabe 457 X ს-ით თარიღდება; აქ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ უშუალო შეპირისპირებითაა შესაძლებელი.<sup>7</sup>

7 ეს ხელნაწერი აღწერა ჟ. მ. სოჟემ, *La Collection homilético-hagiographique du manuscrit Sinai Arabe 457*, in. *Proche-Orient Chrétien* 12, 1972, p. 129–167; ჩვენ დავიმოწმებთ ხელნაწერის ფურცელსა და სტრიქონს კონგრესის ბიბლიოთეკის გამოცემის მიხედვით; სირიულს გამოვიყენებთ T. J. Lamy, *Sancti Ephraem Syri hymni et*

ბ-ნი გარიტის მიერ წარმოდგენილი სირიული წარმომავლობის ნიშნები შემდეგია:

a) მიმართებით ნაცვალსახელებზე კუთვნილებითის დამატება: § 4 „ღმერთი, რომლისაჲ დიდებულ არს სახელი მისი“ ქართული სინტაქსისთვის უცხოა. ციტირებული ჩანართი არ გვხვდება სირიულსა და სომხურში, სამაგიეროდ, ვხვდებით არაბულში 109r 15: **الله جال نأث**. ამავე ჩანართს ვხვდებით სხვა ტექსტში, რომელსაც, ჩვენი ვარაუდით, უშუალოდ არაბული მოდელი ჰქონდა: ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბ. 1955, გვ. 223, 14–15. მიმართებითი + კუთვნილებითი გვხვდება სირიულსა და არაბულში § 38: ე.ი. ნიშანი ვარგისია ორივე ენისთვის.

b) § 27-ის არასწორი თარგმანი „წიწილები“ ნაცვლად „კვერცხებისა“ (სირიულ სიტყვას ორივე მნიშვნელობა აქვს); ქართულმა, ისევე როგორც არაბულმა, თარგმნა როგორც „წიწილები“, თუმცა ხელნაწერში გვიანდელი ხელით ჩასწორდა „კვერცხებად“.

c) ერეტიკოსი „დუმანი“ ნაცვლად „მანისა“, რომელსაც წინ უძღვის გენეტივის ნაწილაკი „დ“; არაბულში 117v 3: **رومانى**. ქართულის არაბულ მოდელში არც ისე გარკვევითა ეწერა **ر** და **ا**, ასევე **ز** – რაც დაუშვებელია სირიულში – როგორც ამას მოწმობს § 19-ში „დონობიოსის“ ქართული ტრანსკრიფცია ნაცვლად სირიული znwbyws-ისა და არაბული zn'bis-ისა 113 v 8. ძალზე საეჭვოა, რომ დამოუკიდებლად მოღვაწე არაბ და ქართველ მთარგმნელებს ერთნაირი გასაოცარი შეცდომა დაეშვათ და მერე მოეხდინათ „მანის“ წინამდებარე „დ“-ს „უ“-დ ვოკალიზება.

სურათის შესავსებად უნდა აღინიშნოს, რომ უხვად გვხვდება ქართულის არაბულთან თანხვედრისა და სირიულისგან განსხვავების მაგალითები. არაბული ტექსტის კრიტიკულ გამოცემამდე მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანს:

#### § 4

Géo G 83, 28–29, I 214, 27–28: მაშინ ყო ერსა ზედა ლოცვით სალხინებელი, რომელ არს ილასმონი, წმიდასა ეკლესიასა შინა.

Arabe 109v 18: ყო ილასმონი ყოველსა ერსა ზედა წმიდასა ეკლესიასა შინა

Syr: ყო სალხინებელი ყოვლისა ეკლესიისათვის.

Arm: om.

არაბული საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ლექსიკონისთვის

---

sermones II, Malines 1886, col. 3–89; სომხურისთვის კი ჩვენ მიერ მომზადებულ, ჯერ გამოუქვეყნებელ კრიტიკულ ტექსტს; ქართულს მივუთითებთ ჟ. გარიტისა (G) და ვ. იმნაიშვილის (I) გამოცემების მიხედვით.

უცხო სიტყვა<sup>8</sup> ლეჯბტა“ რომელიც უნდა იკითხებოდეს როგორც „ჰეჯიბთა“ და არაბული „ჰაჯიბიდან“ მომდინარეობს. ე.ი. § 6-ის გაუგებარი პასაჟი ითარგმნება როგორც:

Géó G 85, 29–86, 2, I 215, 34–38: „და არავის უთხრა მოყუასთა მისთა, (რომელნი–იგი ეტყოდეს მას, ვითარმედ: არა არს აქა მეფეჴ. და რამეთუ) რომელნიმე მარზაპანთაგანნი მოვიდოდეს ჰეჯიბთა მთავრისა მისისა თანა და ეტყოდეს, ვითარმედ: არაა არს აქა მეფეჴ, არამედ არს იგი ანტიოქიას ქალაქსა...“

Arabe 110v 6–8: „და მან არაფერი უთხრა თავის თანმხლებთ, რომლებიც მასთან იყვნენ, და ზოგი მისი მარზაპანი მივიდა მის ჰეჯიბთან და უთხრეს მას: მეფე აქ არ არის, ის ანტიოქიაშია...“

Syr: „ის დაემუქრა მათ ვინც ამბობდა, რომ ბერძენთა მეფე არის ანტიოქიაში...“

Arm: „და მაშინვე გაბრაზდა თავის ახლობლებზე: „როგორ ამბობს, რომ მეფე აქ არ არის და ის ვისაც ვხედავ ვინ არის? და მათ განაგრძეს მტკიცება, რომ მეფე აქ კი არ არის, არამედ ან კონსტანტინოპოლშია, ან ანტიოქიაში...“

სტილისტური ანომალიები არაბულით იხსნება.

## § 5

Géó G 84, 19 I 215, 2: ხოლო წმიდაა.

Arab. 110r 8 და წმიდაა.

Syr.: წმიდაა.

Arm.: om.

## § 4

Géó.: G 81, 23–24; I 213, 13–14: რომელმან იკადრა და გიყო ესე საქმეჴ?

Arabe: 109 r 6: ვინ გაბედა და გიქნა ეს საქმე?

Syr.: om.

Arm.: ვის მიერ იქნა გაკეთებული ეს საქმე?

## § 21

Géó G 95, 23; I 221, 11 და თუმცა არა შეწევნა ღმრთისად (ბ–ნი

8 იხ. წინამდებარე სტატიის დანართი: რამდენიმე შენიშვნა ლექსიკონებისთვის ზოგიერთი უცხო სიტყვის შესახებ.

გარიტი მიუთითებს: აქ რაღაც უნდა აკლდესო).

Arabe: 114r 3 *لا عون الله*: და რომ არა ღმერთის შეწევნა, ფორმულა სიტყვასიტყვითაა თარგმნილი ქართულად (თუმცა არა).

Syr.: om.

Arm.: om.

## § 25

Géo. G 98, 24–25, I 222, 39–40: კაბადუკიად.

Arabe 115r 10: კაბადუკია.

Arm. *Կապպադուկացուց*.

„ბ“ მოწმობს არაბულში „პ“-დ გადასვლას: „პ“ არ არსებობს არაბულში.

## § 28

Géo G 104, 15; I 226, 8 განაქარვნეს კორცნი აღდგომად.

Arabe 117v 9: მათ არ მისცეს ხორცს თავისი აღდგომა.

Syr.: მან არ მისცა ხორცს აღდგომა.

Arm.: მან უკუაგდო ხორცი აღდგომისგან.

ქართველმა მთარგმნელმა გამოიყენა არაბული ზმნის 'dm მნიშვნელობა, რომელიც კონტექსტს არ შეესაბამება..

ასევე მოხდა:

Géo G 93, 5, I 219, 33: იხილეთ მაჩუენებელი იგი.

Arabe 113 r 11: იხილეთ ეს ფარისეველი.

Syr. იხილეთ ეს ფარისეველი.

Arm. ის არის ფარისეველი.

აქაც საქმე გვაქვს არაბული ძირის ორ მნიშვნელობასთან.

Géo G 93, 14, I 219, 40: და ის მათ (პა)ტიობს.

Arabe 113 r 16: და მან ისინი განანათლა.

Syr. ქადაგებით.

Arm: ის მოუწოდებდა.

საქმე გვაქვს – *عطى*-ის (მიცემა) და *عظ*-ის (სწავლება) (დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე) აღრევასთან.

Géo G 104, 25, I 226, 15–16: არაბულის დარად 117v 14 უნდა ითარგმნოს როგორც: „რაჟამს იტყვედ მას შინა ესე სიტყუანი ტკბილნი“ G 114, 29 და 115, 10, I 232, 4 და 113 „საჭიროება“ აიხსნება *ḥawadj*-ის ორი მნიშვნელობით: „საჭიროება“ და „საქმე“:

გვხვდება ფორმაუცვლელი მიმართებითი ნაცვალსახელის ხმარე-



ბის მრავალი მაგალითი.<sup>9</sup>

Géó G 105, I 226, 20: საკითხავთა მისთა, რომელი (მხოლობითში) დაწერა Arabe 117 v 17: ქადაგებები რომელიც ٱلدا დაწერა.

Syr. Om.

Géó G 105, 28–29, I 227, 1–2 „და ყოველთა სასწაულთა თანა, რომელსა (მხ. რ.) იგი იქმოდა წმიდად ეფრემ, და ქმნა ესეცა სასწაული ქალაქსა შინა ურაჰისასა.“

Arabe 118r 9–10 და ყველა სასწაულებთან ერთად, რომელსაც (მხ. რ.) აკეთებდა ეს დიდებული, ასევე გააკეთა რაღაც ედესაში.

Syr. Om.

Arm. Om.

Géó.: G 92, 7; I 219, 11; ეფრემ, ეფრემ.

Arabe: 112v 5 ეფრემ, ეფრემ.

Syr.: ეფრემ.

Arm.: ეფრემ.

ემოთ მოყვანილის საფუძველზე ვფიქრობთ, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: „ეფრემის ცხოვრების“ ქართული თარგმანი მომდინარეობს სირიული დედნიდან, ოღონდ არაპირდაპირ, არაბულ მოდელზე გავლით.

2.(ff. 37–49) „წმინდა მამების სტეფანესა და ნიკონის ცხოვრება“

სხვა ქართული დამოწმება B.M. Add ff. 300–305v. ტექსტი ლონდონის ხელნაწერების მიხედვით გამოაქვეყნა ა. ხახანოვმა (ხახანაშვილი) 1905 წ. „მოამბის“ II 8–ში, შემდეგ (გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ; მ. ჯანაშვილიც იყენებს ჩვენს ხელნაწერს) ტ. IV, 1913 წ., Древности Восточные, რუსული თარგმანით. უკეთესი გამოცემა იხ. I 256–261 (ხელნაწერი B.M.); რამდენადაც ვიცით, ვ. იმნაიშვილი აპირებს გამოსცეს ტექსტის გერმანული თარგმანი და მოკლე გამოკვლევა.

მოდელი უცნობია, მაგრამ ქართული ტექსტი მოდელის ენის დაუზუსტებლად, სრულდება შენიშვნით „ითარგმნა ცხოვრებად ესე წმინდათა მამათაა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაძს ლავრასა.“

გამოთქმა, როგორცაა „ ვაჲ ჩემდა შენ მიერ (I 257, 18–19, 21–22, 23), რომელსაც ვხვდებით „მამათა სწავლანის“ 220, 3–ში, ვფიქრობთ, ზუსტად შეესაბამება ٱلغايمة ტიპის მოდელს. ამ შემთხვევაშიც, საქმე უნდა გვექონდეს არაბულის გავლით ნათარგმნ სირიულ ტექსტთან, რადგან სირიულის გარეშე ძნელი ასახსნელია „ბარსენარაქ“<sup>10</sup> (I 258, 6; ხელნაწერი A-249, f 41v 5: ბარსენაქ) ნაცვლად ბარ სირახისა.

9 იხ. J. Blau, a grammar of christian arabic, C.S.C.O. 279, Subsidia 29, Louvain 1967, § 431.

10 თუ თავდაპირველად მივიჩნევთ ბარსენარაქის საკითხავს, ეს არაბულში უმახვილო „ი“ და „ნ“-ს აღრევით უნდა იყოს გამოწვეული.



ჩვეულებრივი თარგმანი არაბულად არის იბნ სირახ, მაგრამ სირიული მოდელის ტექსტებში გვხვდება „ბარ“: მაგ. იბნ-ატ-ტაიიბის<sup>11</sup> შემთხვევაში. თავად ციტატაც ძველ არაბულ ტექსტს ჰგავს.

Géó: იბრძოლე ჭეშმარიტებისთვის სიკვდილამდე, და უფალი (A-249: ღმერთი) იბრძოლებს შენთვის.

Arabe<sup>12</sup> იბრძოლე ჭეშმარიტებისთვის სიკვდილამდე და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის.

Gr.: სიკვდილამდე იბრძოლე ჭეშმარიტებისთვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის.

3. (ff. 49–73v) „წმ. ნისიმეს ცხოვრება“

სხვა ქართული დამოწმებები:<sup>13</sup> თბილისი, A-146 (XV), ff 90–108v; A-382 (XVI), ff 94–100v; A-124, (1586), ff 302v–315v; Wien, Nation albibliothek, georg. 4 (1160), ff. 224v–234v და ბევრი უფრო გვიანდელი ხელნაწერი.

ტექსტი გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კომენი I, თბ., 1918, გვ. 202–214; კეკელიძემ გამოაქვეყნა ტექსტის რუსული თარგმანი გამოკვლევით (კიევის სასულიერო აკადემიის შრომები, მარტი, 1911; იგივე იხ. ეტიუდები, VII, გვ. 76–101). პ. პეეტერსი ამ ნაშრომის ანგარიშში მიუთითებდა, რომ არ ეთანხმებოდა სავარაუდო კოპტური დედნის არსებობას. ვფიქრობთ, აქაც საქმე უნდა გვეკონდეს სირიულ ტექსტთან, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში არაბულის გავლით შეაღწია. მართლაც, თანამედროვე გამოკვლევა, რომელსაც ვერ გავეცანით, მოწმობს, რომ ქართული ვერსია თარგმნის არაბულ მოდელს:<sup>14</sup> ნ. წაქაძე, ნისიმეს ცხოვრების ქართული და არაბული ვერსიები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, გვ. 108–121.

4.(ff. 1–18v) იოსებ არიმათიელი, ლუდიის ეკლესიის შესახებ.

სხვა ქართული დამოწმებები: თბილისი, A-144 (X), ff. 91v–97; ათონი, Iviron géó–9 (977), ff.154–164 (და მისი XVIII ს–ის ასლი, თბილისი, A-56).

სამივე ხელნაწერი გამოიყენა ნ. მარმა ნაშრომისთვის Иосиф

11 Fiqh an-naṣrānīya, éd. W. Hönerbach–O. Spies, C.S.C.O. 161, arab. 16, Louvain, p. 8, l.2.

12 R. M. Frank, The Wisdom of Jesus Ben Sirach (Sinaï ar. 155, IXth /Xth cent.), C.S.C.O. 358, arab. 31, Louvain, 1974

13 აქ ვიყენებთ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში ყოფნისას რ. გვარამიას მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

14 არაბული ხელნაწერების შესახებ იხ. G. Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur I, Studi e Testi 118, Città del Vaticano 1944; ამასთან ერთად, Sin. ar. 542 (IX–X), Sin. ar. 538 (1211) და Sin. ar. 469 (XIII). იხ. გვ. 99, დანართი.

Армафейский (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии 2) Ст. Петерб. 1900.

5.(ff. 18v-27v) წმ. იერონიმეს ჰომილია ლუდიის ეკლესიის კურთხევაზე.

სხვა ქართული დამოწმება: თბილისი, H-535 (XI), ff. 139-145.

ტექსტი გამოსცა კ. კეკელიძემ, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი I, თბ., 1918, გვ. 1-5, ჩვენი ხელნაწერის მიხედვით. გამომცემელმა შენიშნა ამ თხზულების კავშირი წინა თხზულებასთან.

ნ. მარს უნდა დაეშვა არაბული მოდელის არსებობა; პეეტერსი მას ვარაუდობდა: „საკუთარი სახელების ზოგი დამახინჯება, როგორცაა მაგ. „ბალადიოს“ ნაცვლად „პალადასი“, მიუთითებს არაბული ანბანის შეზღუდულ შესაძლებლობას (Anal. Boll. LX, 1922, გვ. 288). 4 და 5 ტექსტებისთვის გვინდა მივმართოთ ამავე ტომში დაბეჭდილ მ. ვან ესბროკის გამოკვლევას.

6. (ff. 27v-36 აკლია 6 რვეული) ანასტასი სინელის ლოცვა.

ეს ხელნაწერის ერთადერთი გამოუქვეყნებელი თხზულებაა. საქმე გვაქვს ჰომილიის მარხვის შესახებ და ფსალმუნი VI-ის (PG 89, 1077-1116) საკმაოდ თავისუფალ თარგმანთან გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტებთან შედარებით. შესავალი გამოტოვებულია და იწყება პირდაპირ ფსალმუნის პირველი მუხლით.

ამ ჰომილიის ყველაზე გავრცელებულ ქართულ ვერსიას წარმოადგენს ჩვენს ტექსტზე გვიანდელი თეოფილეს ვერსია. ჩვენთვის უცნობია, რომელ ვერსიას ეკუთვნის Wien, Nationalbibliothek, geo 4 (1160) ff. 3v-41-ის ტექსტი, რომლის ხელნაწერიც როგორც არაბულიდან ნათარგმნ ტექსტებს, ისე თეოფილეს თარგმანებსაც შეიცავს.

არსებობს მრავალი არაბული თარგმანი. საინტერესო იქნებოდა ჩვენი ტექსტის შედარება ხელნაწერთან Vatican arabe 71 (885), როცა მასზე ხელი მიგვიწვდება.

\* \*  
\*

ხელნაწერი A-249-ის წარმოდგენის შემდეგ იკვეთება, რომ შემონახული ექვსი ტექსტიდან პირველი ხუთი ნათარგმნია სირიულიდან არაბულის გავლით.

„ეფრემის ცხოვრების“ მიმოხილვისას მ. თარხნიშვილი წერდა, რომ ის მიეკუთვნებოდა „ქართული აგიოგრაფიის უძველეს ფენას და რომ უცხოური ლიტერატურის მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო შეედწია ქართულში სირიულის გავლით.... ენა.... ძალიან ძველია. რაც ხელს არ უშლის, რომ ამ ტექსტში შეხვდეთ უახლეს ტერმინებს .... სირიული ტექსტების ქართული ვერსიები შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ

ჩვენი ლიტერატურის შექმნის გარიჟრაჟის მახლობელ ეპოქაში.<sup>15</sup>

საკმაოდ თანამედროვე ელფერის მქონე ამ სიტყვებს, როგორც ჩანს, კიდევ უფრო უნდა მიეძღვია მეცნიერის ყურადღება. სხვაგან გაჩვენებთ, რომ „ეფრემის ცხოვრების„ სირიული რედაქცია VIII ს-ის დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს. სავარაუდოდ, იგი ქართულად IX ს-ში ითარგმნა. უშუალოდ სირიულიდან ქართულად ნათარგმნი ტექსტები თანდათანობით იშვიათობად იქცა (გამორიცხულად არ მიგვაჩინია, რომ „პორფირე ღაზელის მარტვილობაც“ არაბული გზით შემოსულიყო). პირიქით, ქრისტიანული არაბული სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გზა გახდა სირიული თუ ბერძნული ქრისტიანული ლიტერატურის ქართულად გადმოსატანად, რომელიც ხშირ შემთხვევაში ამ ტექსტების შემომნახველ ერთადერთ წყაროდ რჩება.

ამჟამად არათანმიმდევრულად აკინძული ხელნაწერი A-249 შეიცავს თავდაპირველი ხელნაწერის მაქსიმუმ ერთ მესამედს. და მაინც, შეიძლება ვიფიქროთ კრებულის ძირითად ხაზზე: ის არ უნდა ყოფილიყო ლიტურგიული ხასიათის (ხელნაწერში მითითებული არ არის იმ საკითხავების გატანა, რომლებიც მთლად აშკარად არ ჯდება კალენდრის რიგში). კავშირი ალბათ პალესტინის სამონასტრო ტრადიციაში უნდა ვეძებოთ: ეს უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ტექსტები, წმინდანთა ცხოვრებები თუ შეგონებები და პალესტინასთან დაკავშირებული ტექსტები.

ხელნაწერმა A-249 შემოგვინახა მთელი რიგი ტექსტებისა, რომლებისთვისაც ის უძველესი, რომ არ ვთქვათ, ერთადერთი დამოწმებაა. ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ A-249-ში შემავალ თხზულებებს, ხშირად შეიცავენ არაბულიდან ნათარგმნ სხვა ტექსტებსაც: B. M. Add. 112281 შეიცავს „ეფრემის ცხოვრებას“, „იოანე ედესელის ცხოვრებას“, „კვირიაკობის ცხოვრებას“, „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრებას“; Wien, geo-4 – „დიონისე არიოპაგელის ცხოვრებას“, Iviron-9 მთლიანად არაბულიდანაა ნათარგმნი; H-535 „იერუსალიმის აღებას სპარსელების მიერ“ და „ეფრემის ქადაგებებს.“ სამაგიეროდ, აღმოჩნდა, რომ „ეფრემის ცხოვრებასთან“ დაკავშირებით დამოწმებულ სინურ ხელნაწერში Arabe-457 რვეულები დანომრილია ქართული ნუსხურით და შეიცავს „მარტვირიუსის“ ფრაგმენტს<sup>16</sup> (ქართული კომპილაციისგან განსხვავებით, რაც ადასტურებს არაბული ვერსიის არსებობას ადრეულ ეპოქაში).

ხელნაწერი A-249 თავისებურად გვიჩვენებს არაბული ენის სწრაფ გავრცელებას პალესტინაში მცხოვრებ ქრისტიანთა შორის და პარალელურად, სირიულის დაცემას. იგი ასევე, ქართველების პალესტი-

15 Publications récentes relatives à la littérature géorgienne, in. Le Muséon LXXI, 1958, p.186-189.

16 ვამზადებთ გამოსაცემად.

ნურ ტრადიციებთან ასიმილაციის დამოწმებაცაა. როგორც ჩანს, იგი იმსახურებდა, უკეთ ყოფილიყო ცნობილი და სწორედ ეს გახლდათ ზემოთ ნათქვამის მიზანი.

## დანართი ლექსიკური შენიშვნები

ერთი შეხედვით რამდენად უცნაურიც უნდა ჩანდეს, შრომას ძველი ენის ლექსიკონის შესადგენად არაერთგზის მოყოლია შედეგად იმ სიტყვების ამოღება, რომლებიც, თითქოსდა, მასში უნდა ფიგურირებდეს. ხელნაწერი A-249 მოიცავს მრავალ ასეთ, ახლად მიჩნეულ სიტყვას, რომელთა ამოღებაც დასაბუთებას საჭიროებს.

### 1. მცლა

„ეფრემის ცხოვრებაში“ G 87, 21 (ფრაგმენტი ამოკითხულია პროფ. ლანგის მიერ): საქმე ეხება ზმნა „მხილებას“ ფორმას, რომელიც ზუსტად გადმოსცემს არაბულ Bakkat-ს (და რომელიც გვხვდება I 211, 18-ში: ამხილოს).

### 2. ლეჯბთა

G 85, 31. თავის თარგმანში ბ-ნი პროფ. გარიტი აღნიშნავს: „ლექსიკონებში حاك არ გვხვდება: სიტყვა ამოკითხულ უნდა იქნას როგორც „ჰეჯბთა“ ან ისე, როგორც გვხვდება A-249-ში – „ჰეჯბთა“ (გენეტივის მრავლობით რიცხვში). „ჰეჯბთა“ ამგვარი დაწერილობით არ გვხვდება ლექსიკონებში, მაგრამ გვხვდება „ჰ“-ს გარეშე: ეს გახლავთ, ტრანსკრიფციის წესების დაცვით გადმოტანილი არაბული ḥādījib-ის ნასესხობა.<sup>17</sup> სულხან-საბა ორბელიანი მას ასე განმარტავს – „მეფის მაგიერ მოლაპარაკე; წინამდები მეფეთა; ხელჯოხიანი უფროსი“. ტექსტში საუბარია მარზაპანებზე, დიდ მარზაპანზე: როგორც ჩანს, ტერმინი „ამირეჯბთა“, რომელსაც უფრო გვიანდელ ტექსტებში ვხვდებით,<sup>18</sup> „ეფრემის ცხოვრების“ თარგმნის ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა. სიტყვა სწორადაა ამოკითხული და განმარტებული I 215, 36-ში.

17 ა-ს ნაცვლად წარმოდგენილი „ჰ“-ს ამოვარდნა ძნელი დასამტკიცებელი არ არის: მაგ. „ზუჰალი – ზუალი“ ნაცვლად ႁ-სა (ორი გრაფემა ეტლთა და შვიდთა მნათობთა თვის, გამომც. ა. შანიძე, თბილისი, 1975; ასევე: ექიმი – ܥܘܡܝܢ; ძველ და საშუალო ქართულში არ გამოიყენება თანამედროვე ქართული ენის წესი: arabisches h fällt stets aus, (H. Farenrich, arabische Lehnwörter in der georgischen Sprache, in: B.K. XVII–XVIII, 1964, p.155–163, ციტ. p. 158)

18 ქართლის ცხოვრება, ტ. II; გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1959, გვ. 305, სტრ. 15.

### 3. სამრიმარი

G 95, 25. სიტყვა სწორადაა თარგმნილი როგორც onus (თვირ-ტი), მაგრამ უნდა იკითხებოდეს როგორც „სამძიმარი“. საქმე ეხება ბარგ-ს.<sup>19</sup> ასოები „რ“ და „ძ“ ხუცურ დამწერლობაში ხშირად ძნელად გასარჩევია.<sup>20</sup> სიტყვა სწორადაა ამოკითხული I 221, 13-ში.

### 4. შარი

„იაკობის პირველსახარების“ პალიმფსესტური ვერსიის გამოცემაში<sup>21</sup> პროფ. ჯ. ნ. ბერძოლი სვამს კითხვას, ხომ არ უკავშირდება ეს სიტყვა ბერძნულ ἄριστος-ს. ი. აბულაძესთან ეს სიტყვა დამოწმებული არ არის, ხოლო სულხან-საბა ორბელიანი მას თარგმნის როგორც „კეთილ ნარმას“. ჩვენ ვვარაუდობთ სირიული ܐܘܪܝܫ-ს, „აბრეშუმის“ „ნასესხობას. სწორედ ეს სიტყვა გვხვდება „იაკობის პირველსახარების“ სირიული რედაქციის შესაბამის პასაჟში.<sup>22</sup>

ბ. უტიე  
სოლემის სააბატო

P. S.

ეს სტრიქონები უკვე იბეჭდებოდა, როცა მივიღეთ ნ. წაქაძის ახალი სტატია: „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ვერსია (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, 1, გვ. 69–79), რომელიც გვიჩვენებს, რომ სამივე ქართული რედაქცია ერთი და იმავე არაბული მოდელიდან მომდინარეობს.

ფრანგულიდან თარგმნა  
ცისანა ბიბლიეიშვილმა  
კავკასიის უნივერსიტეტი

19 იხ. G. Charachidzé, Le système religieux de la Géorgie païenne, Paris, 1968, p. 559–560.

20 მაგალითად, M. van Esbroeck, in. anal. Boll. 1971, p.172, სტრ. 10 კითხულობს როგორც „ნასირვებად“; ი. აბულაძის ლექსიკონში კი იგი ციტირებულია როგორც „ნასიძვებად“ („შობილ იყო დედაკაცისა ვისგანმე მეძავისა ნასიძვებად“, რაც უკეთესად აგება კონტექსტს).

21 In Le Muséon LXXXIII, 1970, p. 56, სტრ. 3 და სქოლიო.

22 Ed. Smith–Lewis, in. Studia Sinaitica, XI, p. 2.